**დაგვიმეგობრდით!**

ძალიან გვაინტერესებს, როგორი ტვაიკუები და ლექსები დაწერეს თქვენმა მოსწავლეებმა. გაგვიზიარეთ ერთ-ერთი მათგანი ანა ფრანკის სახლის ფეისბუქის გვერდის საშუალებით. მიუთითეთ სახელი, ქვეყანა და შემდეგ გამოაქვეყნეთ ტვაიკუ ან ლექსი, ან მოსწავლეებს სთხოვეთ დაგვიმეგობრდნენ და ეს ყველაფერი თავად გააკეთონ!.

facebook.com/annefrankhouse



# წერა-კითხვა ანა ფრანკთან ერთად

**მასწავლებლის და გამოფენის ხელმძღვანელის მეგზური**

**(მოსწავლის რვეული)**

ამ მეგზურში იპოვით ინფორმაციას გამოფენისა და მოსწავლის რვეულის შესახებ, აგრეთვე დეტალურ ინსტრუქციებს ჯგუფებზე მეგზურობის გასაწევად. ვიზიტი დაახლოებით 2 საათს გრძელდება.

გისურვებთ წარმატებას!

## პროექტის მოკლე აღწერა

1 ამობეჭდეთ მოსწავლის რვეულები სკოლაში და წამოიღეთ გამოფენაზე.
2 მოსწავლეები გამოფენაზე რვეულებით მოდიან.
3 გამოფენის ხელმძღვანელი მოსწავლეებს შესავალ პანელთან ეგებება.
4 ჩავრთავთ 4:30 წუთიან ისტორიულ ფილმს.
5 მოსწავლეები რვეულში მოსამზადებელ სავარჯიშოებს აკეთებენ.
6 გამოფენის ხელმძღვანელი მოკლე მიმოხილვას აკეთებს და ჯგუფებს ორად ყოფს.
7 გამოფენის ხელმძღვანელი მოსწავლეებს უთითებს რამდენი დრო აქვთ ყველა სავარჯიშოს შესასრულებლად (სავარაუდოდ 40 წუთი).
8 სავარჯოშოების შესრულების შემდეგ, მისი შედეგები შეგიძლიათ მოკლედ განიხილოთ და მაგნიტურ დაფაზე ჩამოჰკიდოთ.
9 გამოფენის სტუმრობის შემდეგ, შეგიძლიათ ჩანაწერი კლასში უჩვენოთ.

## მითითებები

მასწავლებლისთვის

**გამოფენაზე ვიზიტის მომზადება**
დასაწყისი ➔ მოსწავლის რვეულების ამობეჭდვა/დასტეპლერება და გამოფენაზე წაღება ➔ გამოფენაზე წასვლა ➔ გამოფენის ხელმძღვანელის მისალმება და მოკლე შესავალი ➔ 4:30 წუთიანი ისტორიული ფილმის ჩვენება, დაიწყეთ მოსამზადებელი სავარჯიშოების კეთება (გვ. 1-4) ➔ ჯგუფის ორად გაყოფა ➔ რვეულში დარჩენილი სავარჯოშოების გაკეთება ➔ განხილვა: ვის უნდა თავისი ლექსის ან ტვაიკუს წაკითხვა? ➔ გამოფენის ხელმძღვანელის დასკვნითი სიტყვა.

გამოფენის ხანგრძლივობა 2 საათი.
სავარჯიშოების დეტალური ახსნისთვის იხილეთ მოსწავლის რვეული, გვ.3.

გამოფენის ხელმძღვანელისთვის

დასაწყისი ➔ გამოფენის მომზადება (მონტაჟი+მაკრატლების დალაგება/ანა ფრანკის დღიურის ეგზემპლარები/ 20 საუკეთესო საყმაწვილო წიგნის მაგიდაზე დალაგება) ➔ მისალმების და შესავლის მომზადება ➔ მოსწავლის რვეულის გადაკითხვა ➔ მასწავლებელთან შეთანხმება ➔ ჯგუფის მიღება ➔ დათვალიერების დაწყება (იხილეთ ზევით) ➔ დასკვნითი სიტყვა.

მისალმების და შესავლის დეტალური ახსნისთვის იხილეთ გვ.4





ანა ფრანკის შესახებ დაწერილი ტვაიკუს მაგალითი:

*ანა ფრანკის გამოფენა*
*განათებული სივრცეები*
*სარდაფში*
*მე განცვიფრებული ვარ*

## *მოსწავლის რვეულზე მუშაობის სასარგებლო რჩევები*

**მოსამზადებელი დავალებები (გვ. 1-4 ჩათვლით)**

მოკლედ მოაყოლეთ მოსწავლეებს ანა ფრანკის ამბავი და დასვით რამდენიმე შემამზადებელი კითხვა, რომლებსაც შემდეგ გამოფენაზეც განიხილავთ. მოცემული დავალებების შესრულება მოსწავლეებს შეუძლიათ, როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად.

**სავარჯიშოები (გვ. 5-10 ჩათვლით)**

მოსამზადებელი სავარჯიშოების შემდეგ ჯგუფები ორად იყოფა. თითოეული ჯგუფი მოსწავლის რვეულის სხვადასხვა ნაწილზე იწყებს მუშაობას.

სანამ გადახვალთ კითხვაზე “შენ რას გააკეთებდი?” (იხ. მე-5 გვერდი), კარგი იქნება, თუ მოსწავლეებს აუხსნით, რომ მფარველები ბეპ ვოსკაილი, მიპ გისი, იოჰანეს კლეიმანი და ვიქტორ კუგლერი ოტო ფრანკის კომპანიის თანამშრომლები იყვნენ, რომელთაც თავშესაფარში საჭმელი, ბიბლიოთეკის წიგნები, ჟურნალ-გაზეთები, ტანსაცმელი და ახალ-ახალი ამბები მიჰქონდათ. მფარველებმა იცოდნენ, რომ ებრაელების დახმარება მკაცრად ისჯებოდა.




**წერითი დავალება 1**

ჰაიკუ ტვაიკუ. მოსწავლეები გამოფენის შიდა მხარეს ათვალიერებენ და მარტივ კითხვებზე პასუხების გაცემით ტვაიკუს წერენ. ტვაიკუ იაპონურ “ჰაიკუზე” დაფუძნებული სამხაზიანი ლექსია.

**წერითი დავალება 2**

ლექსი ანა ფრანკზე. მოსწავლეები წერენ ლექსს ანა ფრანკზე და დრო თუ ეყოფათ, საკუთარ თავზეც. ლექსს ძალიან სწრაფად, მარტივ კითხვებზე პასუხის გაცემით წერენ. მოსწავლეები შეაგულიანეთ, რომ თავიანთი ლექსები და ტვაიკუ ბოლოს ჯგუფის სხვა წევრებსაც გაუზიარონ და სახლში ფეისბუქის საშუალებით ანა ფრანკის სახლსაც გაუგზავნონ.

**რჩევა:** როცა მოსწავლეები თავიანთ თავზე დაწერენ ლექსებს, შეგიძლიათ ისინი შეაგროვოთ, ხმამაღლა წაიკითხოთ (ავტორის სახელი არ დაასახელოთ) და მოსწავლეებს სთხოვოთ გამოიცნონ, ვისზეა ეს ლექსი.







გამოფენის ხელმძღვანელისთვის

## მისალმება და შესავალი გაკვეთილი

**1** მიესალმეთ სტუმრებს!

**2** გაარკვიეთ, ვის რა სმენია ანა ფრანკის შესახებ ისეთი კითხვებით, როგორიცაა: ვის შეუძლია მოყვეს, ვინ იყო ანა ფრანკი? რა დაწერა მან და რის შესახებ იყო მისი წიგნი?

**3** მოყევით, რის შესახებაა გამოფენა. მაგალითად: ეს გამოფენა არის ანა ფრანკის, როგორც მწერლის შესახებ. ამ გამოფენაზე ბევრ რამეს შეიტყობთ მის შესახებ. მაგალითად, იცოდით თუ არა, რომ ის მოთხრობებსაც წერდა? ანა წერდა პატარა მოთხრობებს უკანა სახლში განვითარებულ მოვლენებზე. ხანდახან მოთხრობებს იგონებდა კიდეც, რომლებიც ძალიან გავდნენ ზღაპრებს. უკვე დაინტერესდით? მას ძალიან უყვარდა წიგნების კითხვა. თუ რომელ წიგნებს კითხულობდა ანა და ვის მიჰქონდა მასთან ეს წიგნები, ყველა ამ კითხვაზე პასუხს გამოფენის დათვალიერების შემდეგ გაიგებთ. უჩვენეთ ჯგუფს 4:30 წუთიანი ისტორიული ფილმი.

**მარშრუტი**

**4** ხელმძღვანელობა გაუწიეთ მოსწავლეებს სავარჯიშოების შესრულების დროს. მოელაპარაკეთ დანარჩენ ხელმძღვანელებს ვინ სად იდგება ვიზიტის მსვლელობისას.

**5** ბოლო 10 წუთი შედეგების განსახილველად მოიტოვეთ.

**6** წაიკითხეთ ან წააკითხეთ მოსწავლეებს რამდენიმე ტვაიკუ და ლექსი. ჰკითხეთ მოსწავლეებს, როგორ მოეწონათ გამოფენა და ამით დაასრულეთ. მოსწავლეებს შეუძლიათ თავიანთი ნაშრომები მაგნიტურ კედელზე ჩამოჰკიდონ.

**რჩევა:** შეგიძლიათ მოსწავლეებს სთხოვოთ, რომ რეკლამირება გაუწიონ საყვარელ წიგნს. რატომ მოსწონთ ესა თუ ის წიგნი? დაე, დაარწმუნებინეთ თანაკლასელები იმაში, რომ მათაც წაიკითხონ ეს წიგნი.